პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.კ.ბ.კ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ХУთშაბათი, 5 მარტი, 1944 წ. № 47 (6991). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 მარტის ოპერაციული ცნობა

4 მარტის განმავლობაში ნარვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქ ნარვის სამხრეთ-დასავლეთით პლაცდარმის გასაფართოებლად. 6 შენაერთის მებრძოლებმა უეცრად დაარტყეს გერმანელებს და დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა 400-ზე მეტი ჰიტლერელის გვამი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მტრის 18 ძელშეწური საცეცხლე წერტილი, მათს გარნიზონებთან ერთად. გერმანელებს წაართვეს 5 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი და დიდძალი საომარი მასალა. ჩვენმა partიელრისტებმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქვეითების მოქმედებას, ერთი დღის განმავლობაში მოსპეს მოწინააღმდეგის მძიმე ქვემეხების 2 ბატარია და რამდენიმე ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი.

* * *

ოსტროვის მიმართულებით 6 შენაერთის ნაწილებმა გაბედული შემოვლითი მანევრით განდევნეს მოწინააღმდეგე მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტებიდან. ამ დასაყრდენი პუნქტებისათვის მებრძოლებში მოსპობილია 800-მდე ჰიტლერელი. ერთ სოფელში ხელთ ვიგდეთ 9 ქვემეხი, დიდძალი სასროლი საჭურველი, გრანატები, ყუმბარები, ნაღმები და თოფის ვაზნები. სხვა უბანზე მზვერავებმა ამხ. ხალიეევმა, მარკინმა, ფროლოვმა, ვორონცოვმა, სმირნოვმა და გლუშენკოვმა შეალწიეს მოწინააღმდეგის განლაგებაში და ტელეფონის მავთულით გამოარკვიეს გერმანელთა ნაწილის შტაბის ადგილსამყოფელი. ჩვენი მებრძოლები შეეჭრნენ შტაბის ბლინდაჟში და გრანატებითა და ავტომატების ცეცხლით მოსპეს გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ჯგუფი.

* * *

ქალაქ კრივოი როგის სამხრეთით 5 შენაერთის ნაწილებმა, გასტეხეს რა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, გადალახეს მდინარე ინგულეცი და ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გერმანელებმა სცადეს აღედგინათ მდგომარეობა და მთელი რიგი გაადგრებული კონტრიერიში მოიტანეს. ჩვენმა ჯარებმა არათუ მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიშები, არამედ კვლავ წაიწიეს წინ. დღის დამლევისათვის ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს რკინიგზის სადგურები ინგულეცი და ნიკოლაკოზელსკი. ამ ბრძოლებში მოსპობილია მტრის 2 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 33 ქვემეხი, 127 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე საწყობი სამხედრო ქონებიანად. პარტიზანებმა გერმანელებს წაართვეს 4 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 62-ე მესანგრეთა ბატალიონის 1-ლი ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ბრუნო კარნატკამ განაცხადა: „ორნახევარი წლის განმავლობაში ჩვენმა ბატალიონმა რუსეთში 2.200 კაცი დაკარგა მარტო მოკლულთა სახით. 1941 წლის ივლისიდან 1944 წლის თებერვლამდე ჩვენ 24-ჯერ მივიღეთ შევსება. ეს შევსება ჩვეულებრივ ცოტა ხანს ყოფნით და ქვეგანაყოფებში ყოველთვის ადამიანთა ნაკლებობაა. თუ წინათ ასეულში 150 ჯარისკაცი ითვლებოდა, ახლა ეთელ ბატალიონში მხოლოდ 40 აქტიური მებრძოლი დარჩა.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით 1943 წელზე. მაგრამ სწორედ ეს წელი აღმოჩნდა გერმანელთა ჯარებისათვის ყველაზე უფრო მძიმე. ბევრ ჯარისკაცს ახლა უკვე აღარა აქვს წარმატების იმედი, მაგრამ წინააღმდეგობას ეწევა იმიტომ, რომ მათ აშინებთ პასუხისმგებლობა რუსეთში ჩადენილი უწესოებისა და დანაშაულობათათვის. 9 თვის განმავლობაში ჩვენმა ბატალიონმა, სარდლობის ბრძანებით, დასწვა სმოლენსკისა და ვიტებსკის ოლქების სულ ცოტა 300 დასახლებული პუნქტი. ჩვენ ვიკლებდით სოფლებს და ციწასთან ვასწორებდით მათ. მესანგრეთა 62-ე, აგრეთვე 32-ე ბატალიონების ჯარისკაცები ხვრეტდნენ და სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ რუს მოქალაქეებს. განსაკუთრებით მძვინვარებდა ჩვენი ბატალიონის ყოფილი მეთაური—მაიორი ლეპომი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სამხრეთში გადაიყვანეს. გერმანელ ჯარისკაცებს უკვე ყველაფერი მობეზრდა, ბევრ მათგანს მეაჩნია, რომ წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ადიდებს შსბერიკლთა რიცხვს, მაგრამ ვერ დაიხსნის გერმანიას დამარცხებისაგან".

* * *

საშინელი ბორტმოქმედებანი ჩაიდინეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ძველისძველ რუსულ ქალაქ სტარაია რუსაში. გერმანელებმა ააფეთქეს ქარხნები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულების შენობები და მოსპეს ძველესი რუსული კლასიკური, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა. ფაშისტმა ბარბაროსებმა დასწვეს 18 საშუალო და დაწყებითი სკოლა, 2 კინოთეატრი და 3 კლუბი. გაძარცვეს და მოსპეს ქალაქის საზხარეთმცოდნეო მუზეუმი. დანგრიეს და გაძარცვეს სახლი, რომელშიც ცხოვრობდა სახელგანოქმული რუსი მწერალი დოსტოიევსკი. წითელი არმიის ნაწილებმა, როცა ამ მრავალტანჯულ ქალაქში შეიჭრნენ, იქ ვერც ერთი მშვიდობიანი მცხოვრები ვერ ნახეს. გერმანელმა ჯალათებმა დახვრიტეს, ჩამოახრჩეს ან გერმანიის კატორღაში გაგზავნეს მთელი მოსახლეობა სტარაია რუსასი, სადაც ომამდე 30 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამხედრო მედლების: უშაკოვის და ნახიმოვის მედლის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

— დაწესდეს სამხედრო მედლები სამხედრო-საზღვაო ფლოტის იმ რიგითი, ზემდეგომა და სერჟანტთა შემადგენლობის დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამშობლოსათვის ბრძოლებში:

უშაკოვის მედალი

ნახიმოვის მედალი.

2. დამტკიცდეს:

ა) უშაკოვის მედლის დებულება და აღწერილობა;

ბ) ნახიმოვის მედლის დებულება და აღწერილობა.

3. გაერცელდეს:

ა) **უშაკოვის** მედლით დაჯილდოებულებზე შეღავათები, დაწესებული მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოებულთათვის;

ბ) **ნახიმოვის** მედლით დაჯილდოებულებზე შეღავათები, დაწესებული მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" დაჯილდოებულთათვის.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით **უშაკოვისა** და **ნახიმოვის** მედლებით დაჯილდოების უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოების შემდგომი დამტკიცებით:

ა) ფლოტების, ფლოტილიების, ხომალდთა ესკადრების, სამხედრო საჰაერო ძალთა ფლოტის, თავდაცვითი რაიონების მეთაურებს;

ბ) ხომალდთა ბრიგადების, საჰაერო დაზვერვის რაზმების, საარტილერიო ბრიგადების, ავიაბრიგადების, საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადებისა და პოლკების მეთაურებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 3 მარტი.

დებულება უშაკოვის მედლის შესახებ

1. **უშაკოვის** მედლით ჯილდოვდებიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი, ზემდეგომა და სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეები, საბჭოთა კავშირის მტრებთან საზღვაო ასპარეზებზე ბრძოლებში პირადი მამაცობისა და გულადობისათვის.

2. **უშაკოვის** მედლით დაჯილდოება სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

3. **უშაკოვის** მედალს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე შედალ „მამაცობისათვის" დაჯილდოებულ პირებთან ერთად.

დებულება ნახიმოვის მედლის შესახებ

1. **ნახიმოვის** მედლით ჯილდოვდებიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი, ზემდეგომა და სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში არ იმყოფებიან, რომლებმაც საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან საზღვაო ასპარეზებზე ბრძოლაში თავიანთი უნარიანი, ინიციატიანი და გაბედული მოქმედებით, რაც დაკავშირებული იყო სიცოცხლის რისკთან, ხელი შეუწყეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების, ნაწილებისა და მათი ქვეგანაყოფების მიერ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებას.

2. **ნახიმოვის** მედლით დაჯილდოება სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

3. **ნახიმოვის** მედალს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე მედალ „საბრძოლო დამსახურებისათვის" შემდეგ.

საკლესი უარკყოფს

შვედური გაზეთი „გეტებორგს პოსტენი", აშორებს რა ლონდონის უცხოელ პოლიტიკურ წრეებს, ამტკიცებს, თითქოს დროებითი ზავის საბჭოთა პირობები, რაც ფინეთის წარედგინა, შეიცავდეს საიდუმლო პარაგრაფს ფინეთში, გერმანელთა ჯარების შემადგენლობაში მყოფი აუსტრიელთა ორი დივიზიის ინტერნირების განსაკუთრებული პირობების შესახებ.

საყდესს დავალებული აქვს განაცხადოს ამ-რომ გაზეთ „გეტებორგს პოსტენის" ცნობა მოთითქოს საბჭოთა მთავრობის წინადადებებშ იყოს საიდუმლო პარაგრაფი, წარმოადგენს ტყუილ და მოკლებულია საფუძველს.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის თვითმფრინავთა თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 3 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთო გადმოგვცემს, ამერიკის ავიაგამანადგურებლებმა 3 მარტს დღისით საიერიშო თავდასხმა მოახდინეს ბერლინზე. ეს არის ამერიკის თვითმფრინავთა პირველი თავდასხმა გერმანიის დედაქალაქზე.

ამერიკის მერვე საავიაციო კორპუსის შეუვარეგულ მადგენლობის მძიმე ბომბდამშენები მოკავშირეთა ავიაგამანადგურებლების თანხლებით თავს დაესხნენ ობიექტებს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში და ჩრდილოეთ საფრანგეთში.

მორისონის გამოსვლა შეუიღდში

ლონდონი, 4 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთო გადმოგვცემს, ინგლისის შინაგან საქმეთა და შინაგანი უწესრიგობის მინისტრმა მორისონმა, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოსთქვა შეფილდში, განაცხადა, დიფენერკი აღარ განმეორდებაო. „ამჯერად,—თქვა მან,—არ შეიძლება შევცდეთ შედეგის შესახებ". „ჩვენ,—განაგრძობდა ინგლისის და ტანსაფინაალმდეგო თხრილთან მიიყვანეს გერმანელებმა იწყეს ნადირობა მათზე. ისინი ბავშვებს თხრილისაკენ მიერეკებოდნენ და შიგ აგდებდნენ, ხოლო თხრილის ნაპირას მითრეულთ ან თხრილში ჩაგდებულთ ავტომატებით ხვრეტდნენ. გაქცეულ ბავშვებს დაედევნებოდნენ, დაიჭერდნენ, ხელს გადაუმტვრევდნენ ან ავტომატის კონდახებით თავს ქალას ჩაუმტვრევდნენ და ისევ თხრილში ჩაყრიდნენ. ასე „ერთობოდნენ" მზეცები, სანამ უკანასკნელი, 128-ე ბავშვი არ ჩააგდეს ორმოში. შემდეგ ავტომატით კიდევ დაცხრილეს უსაბარო ბავშვთა სხეულები და თავიანთი ბოროტების დასაფარავად თხრილი ამოავსეს ქვითა და მიწით.

ასე აწამეს ჰიტლერელმა ბარბაროსებმა სოფელ მიხაილოვკის სამაგვარო სახლის 128 აღსაზრდელი.

* * *

საღამომდე თხრიდნენ ადამიანები ბრძელსა და განიერ ორმოს, მაგრამ დაღლას არ გრძნობდნენ. გვიან საღამოს მიწის მთხრელებმა ამოვნეს ძვლები და დამტვრეული თავის ქალა. დედებმა ტირილი მორთეს. ისინი წარმოსთქვამდნენ დაღუპულ შვილთა სახელებს და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ წყეულ გერმანელებს.

პირველ ნიშანს შემდეგი მოჰყვა და ასე ალმოჩენილი იქნა საშინელებათა მთელი კვალი—128 ბავშვის გვამი. გვამებთან ერთად ნახულ იქნა ტოლჩები, კოვზები, სამაგვარო სათამაშოები. ორმოს გათხრას ესწრებოდა ექიმი, რომელმაც ხელების გადამტვრევის, თავის ქალის ჩაჩეჩვის და წამების სხვა ნაირგვარი ათეული შემთხვევა დადგინა.

მეორე დღეს მხეცურად ნაწამებ ბავშვთა ნეშტები გადიტანეს სოფლის ცენტრში და დაკრძალეს სკოლის შენობის წინ. პატარების საფლავზე სახელდახელოდ აღმართეს ძეგლი. ძეგლის გახსნისას შესდგა სამგლოვიარო მიტინგი.

გულის სიღრმეში ჩამწვდომ სიტყვები წარმოსთქვეს სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. პოპოვმა, პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ლიაშენკოვმა, წითელარმიელმა ტერეშენკომ, შემდეგ თავისი მეგობრების ძეგლთან დადგა მიტინგი კოზუბა და თავის დაღუპულ მეგობრებს მიმართა სიტყვებით:

ალმზრდელისა და მამის სახელს, მიეროდ[illegible] დიდ სტალინზე. **თქვენ მკვდრები არ ხა[illegible] თქვენ შუდამ იცოცხლებთ ჩვენს ხსოვნ[illegible] ჩემო ძვირფასო შეგობრებო!**

შემდეგ მიტინგ მობრუნდა წითელი არმ[illegible] მეთაურებისა და მებრძოლებისაკენ, ვინც [illegible]ფული მიხაილოვკა გაათავისუფლა გერმა[illegible]ლი ფაშისტი დამპყრობლების კლანჭებ[illegible]გან.

— ამხანაგებო, სასტიკად იძიოთ შ[illegible] ჰიტლერელ ორფეხა მხეცებზე ჩემი ამხა[illegible]ბისათვის, ჩვენი მშობლების ცრემლებ[illegible]ვის. კიდევ მრავალი საშინელება ხდება ჩ[illegible] მეზობელ სოფლებში, სადაც ჯერ კ[illegible] მტერი იმყოფება. **გასწიეთ** წინ, დასავლ[illegible] საკენ, **გაათავისუფლეთ** დიდები და პატ[illegible]ბი ტანჯვა-წამებისაგან. სიკვდილი გერმა[illegible] დამპყრობლებს! **სიკვდილი ჩემი ამხანაგ[illegible] მკვლელებს!**

საბასუხო სიტყვით გამოვიდა ზვარ[illegible] რიგითი მებრძოლი ფ. ავერინი:

— უკანასკნელ ბრძოლებში,—თქვა მ[illegible] მე მოკვალი ასამდე ჰიტლერელი, მო[illegible] მტრის ათობით საცეცხლე წერტილ, მა[illegible] როცა ვხედავ **უდანაშაულოდ** დასჯილ ბავ[illegible]თა გვამებს, სასტლი ვერ თავდება ძ[illegible]ვებში და ვფიქრობ, **რომ ჯერ კიდევ** ც[illegible] მაქვს გაკეთებული, **ფიცს ვდებ** თქვენს[illegible]ნაში, უდროოდ დაღუპულო **პატარა** მ[illegible]რებო, **რომ** კიდევ **მეტი** თავდადებით [illegible]ძოლებთ, თქვენს **სიკვდილს** ვანანებთ მ[illegible]ძრიშივე **მოვკვეთთ** ამ ხელს, **რომელიც** [illegible]ნ. **სიცოცხლის ჩასაქრობად** აღიმართა.

ბრიგადის მონაწილენი მდუმარედ ისმ[illegible]ნენ **გულის სიღრმიდან** ამოხეთქილ ცეცხ[illegible]ვან სიტყვებს. ეს იყო მთელი წით[illegible] არმიის ფიცი **სამშობლოს** წინაშე. დ[illegible]ცრემლები შეშრობოდათ თვალებზე. [illegible] მათგანის სახეზე მხოლოდ ერთი სიტყვა [illegible]ლებოდა ამოგვეკითხა:

— შურისძიება!

ქარი არხევდა პატარების საფლავზე [illegible] მარადულ წითელ დროშას და მისი შრ[illegible] თითქოს გამოსცემდა სიტყვას:

— შურისძიება!

ხოფ. მიხაილოვკა

ტომაკოვკის რაიონი, დნეპროპეტროვ[illegible] ოლქი.

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის შესანიშნავ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს საბჭოთა ქალები 1944 წელს გერმანელ ფაშისტთა ჯარებზე წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში აღნიშნავენ.

ერთ წელზე მეტია, რაც წითელი არმია ძლევამოსილ შეტევას აწარმოებს, ანადგურებს ჰიტლერელ დამპყრობლებს და მიერეკება მათ საბჭოთა მიწა-წყლიდან. წითელმა არმიამ გადამწყვეტი დამარცხებები აგება გერმანელ ფაშისტთა არმიებს, მტრისაგან გაათავისუფლა ვეებერთელა ტერიტორია, სიკვდილისა და გერმანელთა მონობისაგან იხსნა ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანები, ჩვენს სამშობლოს დაუბრუნა უმდიდრესი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები და განუხრელად მიიწევს წინ ჩვენი დასავლეთი საზღვრებისაკენ.

სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე საბჭოთა ქალები თავიანთ ქმრებთან, შვილებთან, ძმებთან ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებულად იბრძვიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის, ქალის მიერ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიღებული თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლებისათვის.

სოციალისტურმა წყობილებამ ქალს მიანიჭა უსაზღვრო შესაძლებლობა მისი შემოქმედებითი საქმიანობისა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში განუზომლად გაიზარდა მშრომელ ქალთა მატერიალური კეთილდღეობა, კულტურული დონე, პოლიტიკური აქტივობა.

საბჭოთა ხალხის თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების წინაღმდეგ ხელი აღმართეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა. მათ მიზნად დაისახეს დაემონებინათ და გაეყლეტათ ჩვენი ხალხი, მოესპოთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო და კულტურა, ხელთ ეგდოთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე. გერმანელებმა მათ მიერ დროებით დაპყრობილ რაიონებში კატორღული, მონურ-ბატონყმური რეჟიმი შემოიღეს, ისინი ძარცვავენ საბჭოთა ადამიანების მიერ მრავალი წლის შრომით შეძენილს სახალხო დოვლათს, სწვავენ საცხოვრებელ სახლებსა და კულტურულ დაწესებულებებს, აწამებენ და ჟლეტენ ბავშვებს, ბილწავენ ქალების ღირსებას, სტანჯავენ და ხოცავენ მათ. ასეულათასობით საბჭოთა ქალები და ქალიშვილები, რომლებიც ფაშისტმა ჯალათებმა ხელთ იგდეს მათ მიერ ოკუპირებულ რაიონებში, ძალდატანებით გარეკილი არიან გერმანელთა მონებად.

საძულველი მტრის უკუსაგდებად, ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღდგნენ ჩვენი ქვეყნის ქალები.

საბჭოთა ქალებთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტიურ ძალად ევროპის გერმანელ დამპყრობ-დამმონებელთა წინაღმდეგ გამათავისუფლებელ ომში სდგებიან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ქალები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და მოუკიდებლობისათვის.

ფაშიზმის სრული და საბოლოო განადგურებისათვის, საბჭოთა სამშობლოს გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის ქალები აღაფრთოვანებენ თავიანთ ქმრებს, შვილებსა და ძმებს საგმირო საქმეებისათვის, ფრონტისადმი დახმარებას, გამარჯვების საქმეს ანდომებენ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას.

მთელი ომის მანძილზე ქალები—ჩვენი მრეწველობის მუშა ქალები წარმატებით ეუფლებიან ახალ საწარმოო სპეციალობებს, დაუღალავად მუშაობენ ფრონტის დასახმარებლად, სულ უფრო და უფრო მეტ ტანკებს, თვითმფრინავებს, ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, ტყვიამფრქვევებს, ავტომატებს, შაშხანებს, საომარ მასალებს, აღჭურვილობას, ჩაცმულობას აძლევენ წითელ არმიას, დაუცხრომლად აუმჯობესებენ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხს.

კოლმეურნე ქალები ომის პირიოდში საკოლმეურნეო წარმოების ძირითად, გადამწყვეტ ძალად იქცნენ. ასეულათასობით ქალები მუშაობენ ახლა ტრაქტორისტებად, შოფერებად, კომბაინერებად, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიკოსებად. გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორი ქალების — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ფერმათა გამგეების მრავალრიცხოვანი კადრები.

სამამულო ომში მუშებსა და კოლმეურნეებს აქტიურ დახმარებას უწევენ ქალები—ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, მეცნიერების და ხელოვნების მუშაკები, ექიმები, მასწავლებლები, საბჭოთა დაწესებულებების მუშაკები, რომლებიც თავდადებულად და დაუღალავად ეხმარებიან ფრონტს და სახალხო მეურნეობას.

მტრისაგან განთავისუფლებული რაიონების ქალები დღითი-დღე ადიდებენ დახმარებას თავიანთი განმათავისუფლებლისადმი — წითელი არმიისადმი, თავდადებულად შრომობენ ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, მეურნეობისა და კულტურული დაწესებულებების აღსადგენად.

ძლევამოსილი წითელი არმიის რიგებში მტრის წინაღმდეგ მამაცურად იბრძვიან საბჭოთა ხალხის სახელოვანი ქალიშვილები—სნაიპერები, მეკავშირეები, მეზენიტეები, მფრინავები. ბევრი საბჭოთა პატრიოტი ქალი თავდადებულად მუშაობს წითელ არმიაში ექიმად, ხერშლად, სამედიცინო დად, სანიტრად. ათასობით მამაცი ქალები და ქალიშვილები—პარტიზანები ულმობლად ჟლეტენ ჰიტლერელ ბანდიტებს, ყოველნაირად ეხმარებიან შემტევ წითელ არმიას.

მშრომელი ქალები ყურადღებითა და ზრუნვით ფალიან წითელი არმიის დაჭრილ მეომრებს, დედობრივ ზრუნვას იჩენენ ობოლი ბავშვებისათვის, რომლებსაც მშობლები დაუკარგავთ, ეხმარებიან სახელმწიფოს მოზარდი თაობის აღზრდაში. საბჭოთა ქალები—დონორები თავიანთ სისხლს იძლევიან საბჭოთა მებრძოლებისა და ოფიცრების ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენად.

ომი მოითხოვს საბჭოთა ქალებისაგან, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისაგან, ახალ შრომითს საგმირო საქმეებს ზურგში და საგმირო საქმეებს ფრონტზე, მთელი ძალების ახალ დაძაბვას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა რაც შეიძლება მალე და საბოლოო განადგურებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს ყველა partიულ ორგანიზაციას ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი ჩაატარონ, [illegible] რიგი პოლიტიკური კამპანია, მიმართული წითელი [illegible] შემდგომი გაძლიერებისაკენ, ჰიტლერულ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების დაჩქარებისაკენ. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ ყველა მშრომელ ქალს, რომ ყოველ საბჭოთა პატრიოტ ქალს მოეთხოვება კიდევ უფრო დაძაბული მუშაობა გამარჯვების საქმისათვის, პირველხარისხოვანი საჭურვლისა და საომარი მასალების გამოშვების გადიდება ფრონტისათვის, სურსათისა—არმიისა და ჩვენი ქვეყნისათვის, ნედლეულისა—მრეწველობისათვის. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად მოიზიდონ ქალები წარმოებაში სამუშაოდ, იზრუნონ ქალების საწარმოო სწავლებისათვის, მათი პოლიტიკური აღზრდისათვის, საზოგადოებრივ წარმოებაში მომუშავე ქალთა საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის, დააწინაურონ მოწინავე ქალები და ქალიშვილები ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, დაეხმარონ მათ გაიზარდონ სამუშაოზე.

ქალებო—მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ზიდმიწევნით დაეუფლეთ თქვენი საქმის ტექნიკას, დღითი-დღე გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება! დაუღალავად იმუშავეთ ფრონტის დასახმარებლად! მიეცით შემტევ წითელ არმიას სულ უფრო და უფრო მეტი საჭურველი, საომარი მასალები, აღჭურვილობა, ჩაცმულობა, დაუცხრომლად აუმჯობესეთ საბრძოლო პროდუქციის ხარისხი!

რკინიგზელო ქალებო! თავდადებული და ზუსტი მუშაობით უზრუნველჰყავით წითელი არმიის შეტევის წარმატება! უფრო სწრაფად გაატარეთ მატარებლები, რომლებსაც გადაჰყავთ ჯარები, გადააქვთ საბრძოლო და სახალხო-სამეურნეო ტვირთი! დაუღალავად განამტკიცეთ სამხედრო დისციპლინა რკინიგზებზე! უფრო სწრაფად აღადგინეთ გერმანელთა მიერ დანგრეული რკინიგზის ლიანდაგები, ხიდები და ნაგებობანი, წყალმომარაგება და კავშირგაბმულობა!

კოლმეურნე ქალებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-ქალებო! სანამუშოდ მოემზადეთ და წარმატებით ჩაატარეთ საგაზაფხულო თესვა! იბრძოლეთ 1944 წლის უხვი მოსავლისათვის! დაეუფლეთ ტრაქტორებისა და კომბაინების გაძღოლის ტექნიკას! ყოველნაირად დაეხმარეთ შემტევ წითელ არმიას!

ქალებო—მეზენიტეებო, სნაიპერებო, მფრინავებო, მეკავშირეებო! დაუცხრომლად აუმჯობესეთ თქვენი საბრძოლო ოსტატობა, ულმობლად ჟლეტეთ გერმანელ დამპყრობნი!

ქალებო—ექიმებო, ფერშლებო, სამედიცინო დებო, სანიტრებო! თავდადებულად იბრძოლეთ დაჭრილ მებრძოლთა და ოფიცერთა სიცოცხლის გადარჩენისათვის და მწყობრში დაბრუნებისათვის! მთელი თქვენი ძალები და ცოდნა მოანდომეთ წითელი არმიის დაჭრილი მეომრების დახმარებას!

პარტიზანო ქალებო! ყოველნაირად გააძლიერეთ დახმარება შემტევი წითელი არმიისადმი! ჩაშალეთ მტრის ჯარების გადაყვანა, იარაღისა და საომარი მასალების მიწოდება! თავდადებულად შეასრულეთ პარტიზანული რაზმების საბრძოლო დავალებანი!

ქალებო და ქალიშვილებო! დაეუფლეთ სამეზიდრო საქმეს! ისწავლეთ მარჯვედ სროლა, შეისწავლეთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე! მთელი ჩვენი ძალები ჰიტლერელ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის!

გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ დროებით დაპყრობილი საბჭოთა რაიონების ქალებო! ახლოვდება თქვენი განთავისუფლების ჟამი! დაეხმარეთ პარტიზანულ რაზმებს გერმანელ დამპყრობთა მ[illegible]პობაში! დაემალეთ გერმანიის კატორღაში გარეკვას! მთელი ძალებით, მთელი სანუალებებით დაეხმარეთ შემტევ წითელ არმიას!

ძმური სალამი თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ქალებს, რომლებიც იბრძვიან კაპიტალიზმის უბოროტესი მტრების—გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინაღმდეგ. თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მთელი ძალები და საბრძოლო ძლიერება ჰიტლერული გერმანიის რაც შეიძლება მალე განადგურებისათვის!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ნიესალმება ქალებს—მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, კოლმეურნეებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მასწავლებლებს, ექიმებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს, სამედიცინო მუშაკებს, სნაიპერებს, მეკავშირეებს, მფრინავებს, მეზენიტეებს, სახელოვან პარტიზანებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტს და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები თავიანთ ძალ-ღონესა და ცოდნას მოანდომებენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან ჩვენი სამშობლოს სრული განთავისუფლებისა და მტრის საბოლოო განადგურების საქმეს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის 1944 წლის 3 მარტის სხდომის შესახებ

გუშინ, 3 მარტს, დღის 11 საათზე, რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგა რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი **მ. ვ. სარიჩევი.**

დღის წესრიგშია კამათის განგრძობა რსფსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და რსფსრ 1940, 1941 და 1942 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: რსფსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **ვ. ი. კოლდანოვი,** დეპუტატი **ბ. ვ. ვეტოშკინი** (სიკტივკარის საარჩევნო ოლქი, კომის ასსრ), რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ვ. ვ. პეროვი,** მშრომელთა დეპუტატების ივანოვოს

[illegible] ალმზრდელისა **და** მამის სახელს, [illegible]

[illegible] ბაზე შედარებით წყნარია. მოკავშირეთა ჯარებმა ანციოს რაიონში მდებარე პლაცდარმზე მოიგერიეს მტრის ადგილობრივი მნიშვნელობის რამდენიმე იერიში. ინგლისის მერვე არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის [illegible] იერიში მთიან სექტორში. ამერიკის მეხუთე არმიის ძირითად ფრონტზე პატრულებმ[illegible]

[illegible] ბი 3 მარტს ღამით თავს დაესხნენ ბერლინს [illegible] ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

4 მარტს დღისით იერიში მიიტანეს სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში.

საყოველთაო გაფიცვა ჩრდილოეთ იტალიაში

**ლონდონ

ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი დროშით

. ჯერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში (1938 წელს) მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს სომხეთის სსრ ჯოკტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეობის წევრებს მოეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისათვის, საარტელო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ნატანებელ კოლმეურნეთა წინადადება ერთსულოვნად მიიღეს ფოქრ შაღრიარელმა კოლმეურნეებმა და ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

დიდი სამამულო ომის დღეებში მოძმე საქართველოს და სომხეთის კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა. ნატანებელი და ფოქრ შაღრიარელი კოლმეურნეები წერილებში ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი დადებითი მუშაობის გამოცდილებას და მოუთხრობენ იმაზე, თუ როგორ მზარდ დახმარებას უწევენ ისინი ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელიც გმირულად ებრძვის საზიზღარ მტერს —გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

ნატანებელმა კოლმეურნეებმა წერილი გაუგზავნეს ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეობის წევრებს და სურვილი გამოსთქვეს, გაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება 1944 წელსაც. ფოქრ შაღრიარელი კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ წინადადებას. ამ დღეებში ნატანებს ჩავიდა ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეობი. დელეგაციას კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ი. ავრიანის ხელმძღვანელობით. კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა სოფ. ნატანებს ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან დასდეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის, სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის, გმირი წითელი არმიისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებისათვის.

სოფ. ნატანების და ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის ნათელი დემონსტრაციაა.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილს და სოფ. ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეობის წევრთა საპასუხო წერილს.

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი სომხეთის სსრ ჯოკტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეობის წევრებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ხალხთა საყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ძოწოდების პასუხად ჩვენი კოლმეურნეობის წევრები დაუღალავად მუშაობენ და მზად დამბარებას უწევენ გმირ წითელ არმიას, რომელიც ძლევამოსილად მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ მოერეკება და სპობს საზიზღარ მტერს.

1943 სასოფლო-სამეურნეო წელი წარმატებით დავამთავრეთ და პირნათლად მოვიხადეთ ჩვენი პატრიოტული ვალი სამშობლოსა და ფრონტის წინაშე.

1943 წელს ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავალი მივიღეთ. ჩაის კრეფის წელი გეგმა 124 პროცენტით შევასრულეთ. გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩავაბარეთ 153 ტონა ჩაის მშრალი ფოთოლი. ციტრუსების ნაყოფის დამზადების გეგმა 152 პროცენტით შევასრულეთ. სულ სახელმწიფოს ჩავაბარეთ 12,5 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ე. ი. გეგმის გადამეტებით ჩავაბარეთ 4,5 მილიონი ცალი.

შარშან კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარების საქმეში. თავდაცვის ფონდში შეტანილია 16 ტონა სიმინდი, 1.800 კილოგრამი ხორცი და სხვა პროდუქტები.

კოლმეურნეები ფრონტული თავდადებით მუშაობენ, რასაც მარტო ისიც მოწმობს, რომ 722 კოლმეურნიდან ნახევარზე მეტი სტახანოველია. მთელ რესპუბლიკაში ცნობილია ჩვენი კოლმეურნეობის სტახანოველი ლიუდი ხურციძე. მან გასულ წელს 16.300 კილოგრამი ჩაის მშრალი ფოთოლი მოჭკრიფა და 817 შრომადღე გამოიმუშავა. ლიუდი ხურციძის მეთოდით მუშაობენ ლუბა ბაქანიძე, დარეჯან ტაკიძე, პოპელა გობრონიძე, შურა კვაჭანტირაძე, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ. სამი ფრონტელების მამა—გიორგი ფრიდონაძე ტუიუშს—500-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული. სტახანოვურად მუშაობენ სამი მებრძოლის დედა მარო ბოლქვაძე, მიხაკო ნიკოლაიშვილი, მიხაკო წყალიძე, მოსე ბალათურია, ანუშკა ბაბილოძე და სხვ.

1944 წელს ჩვენ გაორკეცებული ენერგიით შევუდექით მუშაობას და ვიკისრეთ აგროტექნიკური ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებით წელს ჩაის, ციტრუსების და ყველა კულტურის მაღალი მოსავალი მიეღოთ. ჩვენი ვალდებულებაა 1944 წელს სახელმწიფოს ჩავაბაროთ გეგმის გადამეტებით 40 ტონით მეტი ჩაის მშვენიერ ფოთოლი, 2 მილიონი ცალით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 30 ტონით მეტი ტუნგოს ნაყოფი, გავადიდოთ ეროვნული კულტურების მოსავლიანობა—სამუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 2 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1943 წელს, ნათესი ფართობი გავადიდოთ 15 ჰექტარით, ავითვისოთ ყამირი მიწა 60 ჰექტარის რაოდენობით და ძეხური დახმარების ფონდში დავთესოთ 12 ჰექტარი. კიდევ უფრო გავადიდოთ მეცხოველეობის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, ყველა სახელმწიფო ვალდებულება შევასრულოთ დაწესებულ ვადაზე ადრე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა საკავშირო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებასთან დაკავშირებით (ჩვენი კოლმეურნეობიდან დაჯილდოებული არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვასო ჯაბუა, სტახანოველი ჩაის მკრეფავი ლიუდი ხურციძე და ბრიგადირი კასიანე თავაძე) ვიკისრეთ კიდევ უფრო მაღლა აეწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა და მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ვიმუშაოთ დიდი სტალინის მოწოდებათა განსახორციელებლად, შეტანილი წითელი არმიისათვის შემდგომი დახმარების გასაძლიერებლად.

ჩვენი კოლმეურნეობა ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელს ატარებს. ჩვენ შემდგომშიც დაუღალავად ვიმუშავებთ, რომ ღირსეულად გატაროთ ეს საპატიო სახელი.

წინადადება შემოგაგზავნეთ განვაგრძოთ ჩვენს შორის არსებული სოციალისტური შეჯიბრება 1944 წელს და ველით თქვენგან პასუხს.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს!

სომხეთის სსრ ჯოკტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ შაღრიარის კოლმეურნეობის წევრთა წერილი საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელოვანი კოლმეურნეობის წევრებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მივიღეთ თქვენი წერილი, რომელსაც ჩვენი კოლმეურნეები სიხარულით შეეგებნენ. ჩვენ ო

პარტიული ცხოვრება

ზავაძლიერეთ და გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

გადაჭრით გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

მახარაძე, („კომუნისტის“ საკ. კორ.) რაიონის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები სააგიტაციო მუშაობას საფუძვლად უდებენ დიდი სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებას და 1944 წ. 23 თებერვლის ბრძანებას. მრავალი ასეული აგიტატორი კოლმეურნეთა მხარდამხარ იბრძვის უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის.

ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სადაც ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო წარმატებით სრულდება, აგიტატორებად მოწინავე კოლმეურნეები მუშაობენ. ბრიგადირები იოსელიტე ხურციძე, ვარდენ გოგრონიძე, ვასო ნაკაიძე ამავე დროს აგიტატორები არიან და წითელი არმიის სახელოვან წარმატებებს საკოლმეურნეო ბრიგადების სტახანოვური მუშაობით უპასუხებენ.

კოლმეურნეობის მერვე ბრიგადაში აგიტატორას ეწევა მასწავლებელი ეთერ ლომაძე. მან გასულ წელს ამ ბრიგადის წევრებთან 260-ზე მეტი აგიტაციური ჩატარა. მარტო საუბრებით როდი დაკმაყოფილდა, თავისუფალ დროს ყოველთვის ფიზიკურად ეხმარებოდა კოლმეურნეობას და 99 შრომადღე გამოიმუშავა. განსაკუთრებით კარგად მოაწყო მუშობა არდადეგების დღეებში, როცა მოსწავლეთა რაზმს ხელმძღვანელობდა. მოსწავლეებმა სწორმოო დავალება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში 118 პროცენტით შეასრულეს.

ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში წელს ახალი ძალით გიჩაღდა შეჯიბრება საკოლმეურნეო ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნე სტახანოველთა შორის. შეჯიბრებას სათავეში უდგანან აგიტატორები.

კოლმეურნეობაში აგიტატორთა დასახმარებლად შექმნილია აგიტკოლექტივი, რომელიც 51 აგიტატორს აერთიანებს. აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი მასწავლებელი ჟენია სამსონიძე) კვირაში ერთხელ ატარებს აგიტატორთა სემინარს.

სოფ. განახლებულ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორებს საათიანი მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ამხ. ლუბა მეხუზლა 5 წელია აგიტატორად მუშაობს. იგი ბრიგადირს ეხმარება შრომის ორგანიზაციის საქმეში.

ჯარგად დაყენებული აქვთ საათიანი მუშაობა ავარეთვე შრომის ორჯონიკიძის სახელობის, ჭირის ქირიკის სახელობის, კოლ-ჩკათის ჩარკვიანის სახელობის, ასკანის ეროშილოვის სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს. მაგრამ ყველგან როდი დგას საგიჭაციო-პოლიტიკური მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე. სოფ. ლაშე-გაკირულის მხარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (პარტორგანიზაციის მდივანი ა. იმედაშვილი) საგიტაციო-პოლიტიკურ მუშაობას „ჯერთვანი ყურადღება არ ექცევა. აგიტატორები თვეობით არ მიდიან საკოლმეურნეო ბრიგადებში. შიმდინარე წლის ივნვარში კოლმეურნეობის პირველ და მეორე ბრიგადაში არც ერთი აგიტატორი არ ყოფილა მიმაგრებული. კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში აგიტატორს არც ერთი საუბარი არ ჩაუტარებია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის გადაწყვეტილებებზე.

კოლმეურნეობებში ზოგიერთი აგიტატორი დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს. ჯანიეთის კოლმეურნეობაში აგიტატორი კეკელა ქავთარაძე იშვიათად თუ ესტუმრება თავის საგიტაციო უბანს. ლიხაურის კოლმეურნეობაში აგიტატორი ელენე სალუქვაძე ზშირად საგიტაციო საუბარს გაზეთის როგელიმე წერილის წაკითხვით ამოსწურავს.

ანასეულის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში აგიტკოლექტივის სემინარის მეცადინეობა დაბალ დონეზე ტარდება. არადამაკმაყოფილებელ დახმარებას უწევენ აგიტატორებს სოფელ ჭალის და ლაშე-გაკირულის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები.

ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომის შესახებ“ სამი ათასზე მეტი კოლმეურნე სწავლობს. ამხანაგ სტალინის წიგნის შესასწავლად შექმნილია 38 წრე, ბეგრგან წრეებმა უკვე დაამთავრეს მუშაობა.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა ლექციები და პოლიტიკური მოხსენებები. ორგანიზებულად ეწყობა ლექციები და მოხსენებები ნატანების შრომის, გურიანთის, მერიის, ბახვის, ასკანის და სხვა კოლმეურნეობებში და ლაითურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

მაგრამ სალექციო მუშაობის დარგშიც აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. მიმდინარე წლის 30 იანვარს ცხემლისხიდის კოლმეურნეობაში გათვალისწინებული იყო ლექციის ჩატარება, მაგრამ აუდიტორიის წინასწარ მოუმზადებლობის გამო, ლექცია არ შესდგა. სილაურის კოლმეურნეობაში გასული წლის 30 დეკემბრის უხარისხოდ ჩატარდა ლექცია. აღსანიშნავია, რომ ლექციაზე თვით პარტორგანიზაციის მდივანი ს. ლომაძე არ გამოცხადებულა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე რაიონში გადაჭრით უნდა გაძლიერდეს მასობრივ-პოლიტიკური მოშობა კოლმეურნეობებსა და ნახმეურნეობებში 1944 წლის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის.

ლ. ლოლაძე

მეჯვი ყურადღება პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას

ფოთი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). ფოთის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მშრომელთა ფართო მასების დასაროზმავად ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისათვის. ქალაქად ამ საქმეს ემსახურება 4 ბიბლიოთეკა, მათ შორის ერთი სიბავშვო, 3 კლუბი და კულტურის სახლი. სოფლად მუშაობს 3 საკოლმეურნეო კლუბი და ამ კლუბებთან არსებული ბიბლიოთეკები. კლუბები და ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილია ჟურნალ-გაზეთებით. ომის პირველიდან ბიბლიოთეკებისათვის შეძენილ იქნა 30.000 მანეთის წიგნი, გაიზარდა აგრეთვე წიგნთბრუნვა. მარტო ქალაქის ბიბლიოთეკებში 12.000 წიგნი დაცული. ბიბლიოთეკებთან შექმნილია აგიტპუნქტები. მოსახლეობისათვის აგიტპუნქტებში მოეწყო 162 ლექცია, 245 კონსულტაცია და 1.085 საუბარი.

აღსანიშნავია ქალაქის ბიბლიოთეკის (გამგე თ. ხარაზიშვილი) მუშაობა. ბიბლიოთეკაში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომის შესახებ“ შესწავლელად დასახმარებლად, შედგენილია ალბომი ჩვენი ქალაქის მკვიდრთა, ამქამად სამამულო ომის მონაწილეთა სურათებითა და საბრძოლო ეპიზოდებით. ბიბლიოთეკაში ყოველთვის ნახავთ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. კამოდის კედლის გაზეთი „საბჭოთა მკითხველი“. ბიბლიოთეკა დღიურად დაახლოებით 200-300 მკითხველს ემსახურება.

ახალსოფლის სოფნო და სოფელ პატარა ფოთის საკოლმეურნეო კლუბების აქტივისტები წარმატებით მუშაობენ მოსახლეობაში შუქშენიღბვის წესების დაცვისათვის. უმარტივეს მოსახლეობას ფრონტზე მომხდარ ამბებს, ხანდარსაწრნაალმდეგო წესებს. სოფ. პატარა ფოთის კლუბმა ადგილობრივი ძალებით გასულ წელს მოსავლის აღების დროს კოლმეურნეობაში 5-ჯერ ზოაწყო წარმოდგენა. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ყოველდღიური ოპერატიული ცნობები კლუბში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული; კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია ლიტერატურული წრე, რომელიც სათანადო მომსახურებას უწევს რაიონის კოლმეურნეობებს.

მაგრამ ყველა საკოლმეურნეო კლუბი როდი მუშობს ისე, როგორც საჭიროა. სოფელ ყულევის საკოლმეურნეო კლუბს (გამგე ნ. ნადარეიშვილი) საკუთარი შენობა არა აქვს. ამის გამო აქ საკლუბო მუშობა ჩაშლილია. კლუბისათვის შენობის გამოსახანადად თავს სრულებით არ იწუხებს სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ალ. ბუკია, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არსებობს საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის ბიუროს და შრომელთა დეპუტატების ფოთის ქალაქის საბჭოს აღმასკომის დადგენილება.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშობს სოფელ სიბავოს საკოლმეურნეო კლუბი (გამგე თ. ფაცია). ამ კლუბთან ერთ დროს ჩამოყალიბდა სამხედრო-ფიზკულტურული წრე, რომელსაც სამხედრო საგნის მასწავლებელი მ. სიკინავა ხელმძღვანელობდა. შედგინეს სიები, გამოჰყვეს დღეები სამეცადინოდ, მაგრამ წრის ხელმძღვანელის უპასუხისმგებლობის შედეგად წრე არ მუშობს. საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტორგანიზაციები კი ურიგდებიან ამ ვდგომარეობას.

ვ. გუჯაბიძე

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური აგიტაცია“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 1944 წლის 13 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კასპის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში, კერძოდ ქვემო ხანდაკში და ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეტად სუსტია საგიტაციო მუშაობა. აქაური აგიტატორები შემთხვევიდან შემთხვევამდე და უხარისხოდ მართავენ საუბრებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ქვეღლაძე გვატყობინებს, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა ზემოთადნიშნულ სოფლებში საგიტაციო მუშაობის მდგომარეობა. წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს გაანიხილა საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სააგიტაციო მუშაობა დასავლეთ შახტში

ტყიბული, („კომუნისტის“ საკ. კორ.) დასავლეთ შახტში 43 აგიტატორი მუშაობს. მოწინავე აგიტატორები სისტემატურად მოუთხრობენ მეშახტეებს წითელი არმიის გმირული გამარჯვებების შესახებ, აკონტროლებენ პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებებს, საუბრებში უხვად იყენებენ ადგილობრივ ფაქტებს.

მიმზიდველი და შედეგიანია ახალგაზრდა ალმთო ინკინრის ამხ. ს. კალანდაძის სააგიტაციო საუბრები. კალანდაძე საუბრებს ატარებს ღამის ცვლაში მომუშავე მეშახტეთა შორის. იმ ცვლის ყოველდღიური გეგმა, სადაც კალანდაძე აგიტატორია, 105-110 პროცენტით სრულდება. შაგრამ 15 თებერვალს ცვლამ დავალება ვერ გაანაღდა, გეგმის შესრულებას დააკლდა 18 ტონა ქვანახშირი. დამთავრდა თუ არა ცვლის მუშობა, აგიტატორმა კალანდაძემ შეკრიბა მეშახტეები და გააცნო მათ წითელი არმიის ახალი გამარჯვებები. ამის შემდეგ აგიტატორმა მეშახტეებს მიმართა: დღეს ჩვენ ბევრი ქვანახშირი დავაკელით სამშობლოს. ეს არ გვეპატიება. ჩამორჩენა რომ გამოვასწოროთ, მოდით ამხანაგებო, კიდევ უფრო მონდომებით ვიმუშაოთ.

აგიტატორის სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა მეშახტეებზე. მესამე ცვლაში მუშაობის გასაგრძელებლად დარჩნენ ახალგაზრდა მეშახტეები: დ. მესხორაძე, დ. ქათამაძე და სხვები. ზედმეტ ცვლაში გულმოდგინედ მუშობდნენ ისინი და ორივე ცვლის გეგმა მთლიანად იქნა შესრულებული.

სისტემატურად და მაღალხარისხოვნად ატარებენ აგრეთვე საუბრებს მეშახტე აგიტატორები — ამხ. შ. კახიძე, ნ. სოფრომაძე, ს. მერინოვი და სხვ.

მაგრამ მთლიანად შახტში მაინც არადამაკმაყოფილებელია სააგიტაციო მუშაობა. ბევრია ისეთი აგიტატორი, რომელიც არადამაკმაყოფილებლად მუშობს. აი აგიტატორი ნინორი ჭ. ცოცხვაია, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ უთქვამს მეშახტეებისათვის სსრ კავშირის მეათე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე. ან ამხ. ს. კობალეიშვილი, რომელიც ძალზე დაგვიანებით და მოუმზადებლად ატარებს აგიტსაუბრებს. აგიტატორებს ბ. ბოკორიშვილს და ფ. ბიდიკის სააგიტაციო მუშაობა თითქმის მთლიანად ჩაშლილი აქვთ.

შახტში კიდევ უფრო ცუდად დგას თვალსაჩინო აგიტაციის საქმე. ლოზუნგები, პლაკატები და სამამულო ომის გმირების პორტრეტები არა აქვთ. ცენტრალური გაზეთების ვიტრინები მთლიანად მივიწყებულია. სუსტად მუშაობს კიდევ „გიგანტი“. მისი უკანასკნელი ნომერი ბევრად ჩამორჩენა წინა ნომრებს, შახტის კლუბი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული.

ვერ ვიტყვით, რომ პარტბიურო (მდივანი ამხ. ბ. კობახიძე) არ იხილავდეს საგიტაციო მუშაობის საკითხებს, მაგრამ საკითხების განხილვა რამდენადმე ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამას ის ფაქტიც აღასტურებს, რომ კიდევს გაზეთის უმოქმედობის შესახებ მოკლე დროში პარტორგანიზაციამ სამჯერ განიხილა საკითხი, მაგრამ კიდევ გამოსვლას მაინც არა ეშველა რა. საჭირო იყო კონკრეტული ღონისძიებანი და არა ასეთი დადგენილება: „წინადადება მიეცეს რედკოლეგიის შემადგენლობას და მის რედაქტორს გორგაძეს თუ დღეიდანვე არ გარდაქმნით მუშაობა და ორ დღეში არ გამოუშვით გაზეთი მათ პარტიულობის საკითხი განხილული იქნება მორიგ პარტიულ კრებაზე სასჯელის დადების მიზნით“. ასევე ზერელედ იხილავენ დასავლეთ შახტის პარტორგანიზაციაში აგიტსემინარისა და აგიტატორების მუშაობის საკითხებს.

დასავლეთ შახტში საგიტაციო მუშაობა სანიმუშოდ უნდა იქნას დაყენებული. პარტორგანიზაციამ არსებითად უნდა უხელმძღვანელოს ამ საქმეს.

ღ. საბელაშვილი

ფოთის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ფოთი, 4 მარტი (საქდესი). შესდგა ქ. ფოთის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის გადაწყვეტილებებზე.

მიმზიდველი და შედეგიანია ახალგაზრდა ალმთო ინკინრის ამხ. ს. კალანდაძის სააგიტაციო საუბრები. კალანდაძე საუბრებს ატარებს ღამის ცვლაში მომუშავე მეშახტეთა შორის. იმ ცვლის ყოველდღიური გეგმა, სადაც კალანდაძე აგიტატორია, 105-110 პროცენტით სრულდება. შაგრამ 15 თებერვალს ცვლამ დავალება ვერ გაანაღდა, გეგმის შესრულებას დააკლდა 18 ტონა ქვანახშირი. დამთავრდა თუ არა ცვლის მუშობა, აგიტატორმა კალანდაძემ შეკრიბა მეშახტეები და გააცნო მათ წითელი არმიის ახალი გამარჯვებები. ამის შემდეგ აგიტატორმა მეშახტეებს მიმართა: დღეს ჩვენ ბევრი ქვანახშირი დავაკელით სამშობლოს. ეს არ გვეპატიება. ჩამორჩენა რომ გამოვასწოროთ, მოდით ამხანაგებო, კიდევ უფრო მონდომებით ვიმუშაოთ.

აგიტატორის სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა მეშახტეებზე. მესამე ცვლაში მუშაობის გასაგრძელებლად დარჩნენ ახალგაზრდა მეშახტეები: დ. მესხორაძე, დ. ქათამაძე და სხვები. ზედმეტ ცვლაში გულმოდგინედ მუშობდნენ ისინი და ორივე ცვლის გეგმა მთლიანად იქნა შესრულებული.

სისტემატურად და მაღალხარისხოვნად ატარებენ აგრეთვე საუბრებს მეშახტე აგიტატორები — ამხ. შ. კახიძე, ნ. სოფრომაძე, ს. მერინოვი და სხვ.

მაგრამ მთლიანად შახტში მაინც არადამაკმაყოფილებელია სააგიტაციო მუშაობა. ბევრია ისეთი აგიტატორი, რომელიც არადამაკმაყოფილებლად მუშობს. აი აგიტატორი ნინორი ჭ. ცოცხვაია, რომელსაც არც ერთი



გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელ. კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ი. ახვლედიანი ესაუბრება ბრიგადირებს ალ. მელაიას, ალ. ჯგუბურიას, აგროტექნიკოს ვ. მელაიას.

ფოტო რ. აკოფოვის

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პლენუმი

წულუკიძე, („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. ბ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მეოთხე პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ლ. ბერგიძის საანგარიშო მოხსენება განელილი მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაჩაღებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა კ. შირიცხელავამ, ვ. მონიავამ, გ. ციბაძემ, ი. ქაშიბაძემ, ვ. შელიამ, ი. ბახტაძემ, რ. ბახტაძემ, ია. კირთაძემ, სულ 14 კაცმა.

რაიკომმა მიერ ჩატარებული მუშაობა პლენუმმა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამის გამო, რომ ვერ უზრუნველყო ხელმძღვანელობა და რაიონის კოლმეურნეობებში დაშვებულ იქნა შეცდომები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გატარებაში, პლენუმმა რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ლ. ბერგიძე მოხსნა თანამდებობიდან.

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ვ. ობოლაძე.

ამხ. შ. ბოჯგუა პლენუმმა გათავისუფლა რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის მეორე მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მ. ჩომახიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე მეცხოველეობის დარგში ამხ. კ. ჭოჭინაძე.

ჯ. ცაცუა

,,კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური აგიტაცია“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 1944 წლის 13 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კასპის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში, კერძოდ ქვემო ხანდაკში და ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეტად სუსტია საგიტაციო მუშაობა. აქაური აგიტატორები შემთხვევიდან შემთხვევამდე და უხარისხოდ მართავენ საუბრებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ქვეღლაძე გვატყობინებს, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა ზემოთადნიშნულ სოფლებში საგიტაციო მუშაობის მდგომარეობა. წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს გაანიხილა საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ფოთი, 4 მარტი (საქდესი).

,,ფოთის ,,ბოლშევიკი“ ,,ბოლშევიკურ“ ,,ბ“

ფ. ... ,,ბ“ ... ,,ბ“ ... ,,ბ“

დიდი რუსი მკვლევარი-მოგზაური

(ეი წელი გ. სედოვის გარდაცვალებიდან)

1914 წლის 5 მარტს კუნძულ რუდოლფზე (ფრანც-იოსების მიწა) გარდაცვალა გამოჩენილი რუსი მკვლევარი-მოგზაური გიორგი იაკობის-ძე სედოვი.

გ. სედოვი დაიბადა 1877 წელს დაბა კრივაია კოსაში (აზოვის ზღვის სანაპირო) ღარიბი მეთევზის ოჯახში. ნიჭიერი და ცნობისმოყვარე ბავშვი ადრე შეეჩვია ზღვას. მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა მეთევზეობა. ჯერ კიდევ პაბუკი, იგი სტოვებს სახლს და დიდი გაჭირვებით შედის როსტოვის საზღვაო სასწავლებელში, რომლის დამთავრებისას ღებულობს შტურმანის ხარისხს. კერძო პირთა გემებზე სამსახური ვას არ აკმაყოფილებდა. იგი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც მოიპოვა საზღვაო ფლოტის ოფიცრის წოდება. შემდეგ მოეწყო სამსახურში ჰიდროგრაფიულ უწყებაში. ბრწყინვალედ ჩაატარა ექსპედიცია კოლიმის მხარეში, მუშაობდა კასპიის ზღვის ნაპირებზე, ახალი მიწის ჩრდილოეთი ნაპირების გამოკვლევაზე. რუსეთ-იაპონიის ომის დროს ამურის სამხედრო ფლოტილიაში მსახურობდა.

მთელი მისი მუშაობა პოლარეთში მხოლოდ მომზადება იყო დიდი მიზნისათვის, რაც გ. სედოვმა დაისახა. მისი ოცნება იყო ჩრდილოეთ პოლუსის მიღწევა. 1912 წელს მან ითხოვა ჩრდილოეთ პოლუსზე ექსპედიციის მოსაწყობად 70.000 მანეთი. პირველ ხანებში თითქოს ყველა მხარს უჭერდა მის გეგმას. მაგრამ მეფის მთავრობამ სედოვს ფულის მიცემაზე უარი უთხრა და დასაკვნა, რომ მისი გეგმა „რამდენადმე მოუფიქრებელი ხასიათისაა“.

გ. სედოვმა თავის იდეაზე ხელი არ აიღო. დაიწყო თანხების შეგროვება საქველმოქმედო გზით. რასაკვირველია, იმდენი თანხა არ შეგროვდა, რაც მართლაც უზრუნველყოფდა ექსპედიციას საჭირო მოწყობილობით, მაგრამ მიუხედავად მრავალგვარი ხელშეშლელი გარემოებებისა, 1912 წლის აგვისტოში გ. სედოვი გემით „წმინდა წმენდული ფოკა“ გაეშვა არხანგელსკიდან.

ექსპედიცია გვიან დაიწყო, ზაფხული უკვე თავდებოდა, მაგრამ ექსპედიციის გადადება მის დასამარებას უდრიდა. ეს იცოდა გ. სედოვმა და ამიტომ გადასწყვიტა არხანგელსკიდან გასვლა. გემი მალე ძმივე ყინულებში გაიჭედა და პირველი ზამთარი ექსპედიციის მონაწილეებმა ახალ მიწაზე გაატარეს. ზამთრის განმავლობაში ექსპედიციამ დიდი სამეცნიერო გამოკვლევები ჩაატარა. გ. სედოვმა პირველმა შეოუარა ახალი მიწის ჩრდილოეთის კიდურს ძაღლებით.

1913 წლის 3 სექტემბერს ექსპედიცია გაეგზავნა ჩრდილოეთისაკენ. ფრანც-იოსების მიწასთან იგი კვლავ ძმივ ყინულებს წააწყდა და მეორე ზამთრობა აქ მოუხდა. ბუხტას, სადაც „ფოკა“ დადგა საზამთროდ, სელგმა ტიხაია უწოდა. ექსპედიცია არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო პროდუქტებით. ექსპედიციის ბევრი მონაწილე და მათ შორის თვით სედოვი სურავანდით გახდა ავად. მიუხედავად ავადმყოფობისა, გ. სედოვმა გადასწყვიტა ძაღლების მარხილით წასულიყო ჩრდილოეთ პოლუსზე. მან თან გაიყოფა ორი მეზღვაური — ლინიკი და პუსტოშნი.

1914 წლის 15 თებერვალს გაემგზავრა გ. სედოვი ორი თანმხლებით. გზაზე ავადმყოფობა გაძლიერდა. მალე სედოვს სიარული არ შეეძლო. იგი მარხილზე დაუწვინეს და ისე მიპყავდათ ჩრდილოეთისაკენ. სედოვი ხშირად ცნობიერებას კარკავდა, მაგრამ კომპასს ხელიდან არ უშვებდა—ეშინოდა, ულაბ არ დამბარნონო. ამ გზაზე 5 მარტს გ. სედოვი გარდაიცვალა. იგი დასაფლავეს კუნძულ რუდოლფზე. მის საფლავზე აღმართეს ალამი, რომელიც გ. სედოვს ჩრდილოეთ პოლუსისათვის ჰქონდა გამზადებული. ლინკი და პუსტოშნი დაბრუნდნენ „ფოკაზე“, ხოლო სედოვის საფლავთან დარჩა მისა ერთგული ძაღლი ფრამი, რომელმაც არ ისურვა გარდაცვლილი პატრონის მიტოვება.

ექსპედიცია დაბრუნდა არხანგელსკში. ამ ექსპედიციის მნიშვნელობა დიდია. ვან გზა გაუკაფა შემდგომ მკვლევარებს. უკვე 15 წლის შემდეგ, 1929 წელს რუდოლფის კუნძულს მიადგა ყინულმჭრელი „გიორგი სედოვი“ და პატივი სცა გმირი მოგზაურის,

სამშობლოს დიდებისათვის მებრძოლი პატრიოტის ხსოვნას.

პოლარეთის გეგმობრივი ათვისება, არქტიკის შესწავლის მეცნიერულ-სახელმწიფოებრივ ბაზაზე დაყენება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. როგორც კი ციმბირი განთავისუფლდა ინტერვენტებისაგან, მაშინვე დაიწყო ექსპედიციების მოწყობა ობისა და ენისეის შესართავებში.

საბჭოთა პოლარეთის ათვისებაში გადამწყვეტი გახდა 1932 წელი, როცა ექსპედიციამ ყინულმჭრელ გემზე „სიბირიაკოვზე“ ერთი ნავიგაციის განმავლობაში განვლო გზა არხანგელსკიდან ვლადივოსტოკამდე და ამით გახსნა ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზა.

1934 წლიდან დაწყებული არ ყოფილა ისეთი ზაფხული, რომ ატლანტიკიდან დაწყებული წყნარ ოკეანეში და წყნარი ოკეანიდან ატლანტიკაში არ გაეგლოს საბჭოთა გემებს. 1934 წლის ნავიგაციაში საბჭოთა პოლარულ წყლებში 85 გემი მონაწილეობდა, 1935 წელს—100, 1936 წ.—160 და ა. შ.

პოლარეთის სამეურნეო ათვისებას თან ახლდა დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. საბჭოთა სამეცნიერო პოლარული ექსპედიციები იწყობოდა თითქმის ყოველ წელს. დავასახელოდ უმთავრესი მათგანი: ჩელუსკინელთა ეკოპეა (1933-34 წ.), „სადკოს“ ექსპედიცია (1935 წ.), ვ. ჩკალოვის, გ. ბაიდუკოვის და ა. ბელიაკოვის გაფრენა (მოსკოვი-ფრანც-იოსების მიწა—კუნძული უდი, 1936 წ.), „სადკოს“, „მალიგინის“ და „სედოვის“ დრეიფი (1937 წ.), ი. პაპანინის, ა. კრენკელის, პ. შირშოვის და ა. ფედოროვის ჰიდრეიფე სადგური (1937 წ.), ვ. ჩკალოვის, გ. ბაიდუკოვის და ა. ბელიაკოვის ტრანსპოლარული გაფრენა (მოსკოვი — ჩრდილოეთ პოლუსი — პორტლენდი, 1937 წ.), გ. გრომოვის, ა. იუმაშევის და ს. დანილინის ტრანსპოლარული გაფრენა (მოსკოვი—ჩრდილოეთ პოლუსი — სან-ჯაკინტო, 1937 წ.) და სხვა მრავალი.

დიდი ხანი არ გასულა გ. სედოვის დაღუპვის შემდეგ. ამ 30 წელში გ. სედოვის ოცნება შესრულდა: არა მარტო ჩრდილოეთ პოლუსი, მთელი პოლარეთი შესწავლილია ჩვენი საბჭოთა მკვლევარების ძალ.

გრ. რიონელი

დ. ოისტრახის და ლ. ობორინის კონცერტები

თბილისში დიდი წარმატებით ჩატარდა ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლების, ლაურეატების დ. ოისტრახისა და ლ. ობორინის საგასტროლო კონცერტები. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია სონეტების საღამომ. წარმატებით ჩატარდა აგრეთვე 6 სიმფონიური კონცერტი დ. ოისტრახისა და ლ. ობორინის მონაწილეობით.

გრიბოედოვის თეატრში

8 მარტს გრიბოედოვის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ძმ. ტურისა და შეინინის ახალ სატირულ კომედიას „საგანგებო კანონი“.

პიესა დადგა რეჟისორმა ა. რუბინმა, მხატვრულად გაფორმა ბ. ლოკტინმა. მთავარ როლებს ასრულებენ: ი. ბადროვი, ვ. ბრაგინი, ი. ოსიპოვი, გ. დავიდოვა, ვ. ზახაროვა, ე. კოგალსკაია, ა. ლემერგარდტი, ი. ალექსი-მესხიშვილი, ბ. ვიაზემსკი, ს. დრაგო, კ. ზაბელინი, ა. ლიპნიცკი, მ. პიისტეკი და სხვ.

მორიგ პრემიერად თეატრი ამზადებს ა. არბუზოვის პიესას „სახლი ჩერმაზოვოში“. პიესა ასახავს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ დაძაბულ ბრძოლებს მოსკოვის მისადგომებზე და ჩვენი ახალგაზრდობის გმირულ საქმეებს. პიესას სდგამს გ. ტოვსტონოგოვი, მხატვრულად აფორმებს ვ. ივანოვი.

„რუსი ადამიანები“ ქუთაისის თეატრში

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ფ. სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანები“. პიესა ასახავს საბჭოთა პატრიოტების საგმირო საქმეებს სამამულო ომში.

პიესა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. სულიაშვილმა, მხატვრულად გაფორმა ი. იაქაშვილმა, მუსიკა დასწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. ვახვახიშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ: ვ. მეგრელიშვილი (საფონოვი), შ. პირველი (ვლობა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ც. ამირაჯიბი (პეტროვნა), ს. ვაჩნაძე (მარია ნიკოლაევნა), ნ. ქუთათელაძე (ვალია), ვ. სვანიძე (ვასინი), დ. ქუთათელაძე (როზენბერგი), ს. ჯაში (ოზლოვსკი), პ. უგრეხელიძე (პანინი), ტ. თვალთვაძე (შურა), გ. კოკელაძე (ხარიტონოვი), ვ. გვენცაძე (მოროზოვი), შ. თორთლაძე (ლეიტენანტი), გ. ნაცვლიშვილი (ვერნერი), ტ. საყვარელიძე (ლუკონინი), ბ. ცოკელაძე (მოხუცი) და სხვ.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მენდელეევის პერიოდული კანონის 75 წლისთავი

1869 წლის მარტში პროფესორმა მენდელეევმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დმიტრი ივანეს-ძე მენდელეევის დავალებით რუსეთის ქიმიურ საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება „ელემენტთა სისტემის ცდის შესახებ“ და აქედან თარიღდება ქიმიის ერთ-ერთი ძირითადი კანონის—პერიოდული კანონის შექმნა.

მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთმა უფროსმდებელმა ფრიდრიხ ენგელსმა ასეთი მაღალი შეფასება მისცა გენიალური რუსი მეცნიერის ამ აღმოჩენას: „მენდელეევმა, რომელიც შეუგნებლად იყენებდა ჰეგელის კანონს რაოდენობის თვისებაში გადასვლის შესახებ, ჩაიდინა მეცნიერული გმირობა, რაც შეგვიძლია თამამად დავაყენოთ ლევერიეს აღმოჩენის გვერდით, ლევერიესი, რომელმაც ჯერ კიდევ უცნობი პლანეტის—ნეპტუნის ორბიტი გამოიანგარიშა“.

და თუ გავეცნობით, რა მდგომარეობაში იყო ქიმია მის დროს და რა წარმატებები მოიპოვა შემდგომ პერიოდში, ნათელი გახდება, რომ მენდელეევმა სავსებით დიმოსახურა ეს მაღალი შეფასება.

ქიმია იმ დროს წარმოადგენდა ათეული წლების მანძილზე დაგროვილი ცალკე ფაქტების უსაზღვრო ზღვას. ამქამად ცნობილი 92 ელემენტიდან მაშინ მხოლოდ 67 ელემენტი იყო ცნობილი, ბევრ მათგანზე მხოლოდ ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ, ძლიერ ბევრის ძირითადი კონსტანტი (ატომური წონა, კუთრი წონა) არ იყო სწორი.

მენდელეევმა მტკიცედ გადასწყვიტა გამოენახა ზოგადი კანონი, ბუნებრივი წესრიგი, რომელთაც უნდა მორჩილებდეს ყველა ქიმიური ელემენტი, მათი თვისებები და ქცევა.

XIX საუკუნის ქიმიკოსებს არ შეეძლებოდა მხედველობიდან გამოეპარეოდათ ზოგიერთი ელემენტების განსაკუთრებული მსგავსება, მაგალითად, კალიუმისა და ნატრიუმისა, ცეზიუმისა და რუბიდიუმისა, ფლუორისა, ქლორისა, ბრომისა და იოდისა, აგრეთვე ზოგიერთი სხვებისა. მაგრამ რა ნიშნით და თვისება ანაოესავებს ამ მსგავს ელემენტებს იმ მრავალი ნიშნისა და თვისებებიდან, რომლებიც ელემენტის დამახასიათებელია? მენდელეევის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ელემენტთა უამრავი ნიშან-თვისებებიდან მან გამოარჩია ძირითადი, უცვლელი თვისება, რომლის გარეშე თვით ელემენტის არსებობაც კი შეუძლებელია. ეს არის ატომური წონა. ყველა ელემენტს თავისი დამახასიათებელი ატომური წონა აქვს. არსებობს ყველაზე უმსუბუქესი ელემენტი — წყალბადი. თუ მის ატომურ წონას 1-ის ტოლად ჩავთვლით, ჟანგბადის ატომური წონა იქნება 16. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟანგბადის ატომი წყალბადის ატომთან შედარებით 16-ჯერ უფრო მძიმეა. მენდელეევის ანალიზურმა გონებამ ელემენტთა ატომურ წონას ბუნებრივად დაუკავშირა მათი ყველა დანარჩენი თვისება, ყველაფერი, რაც ქიმიური ელემენტის თავისებურებას განსაზღვრავს.

რაში მდგომარეობს მენდელეევის აღმოჩენა?

ქიმიური ელემენტები ჰქმნიან ბუნებრივ ერკვიოს, რომელიც იწყება ყველაზე მსუბუქი ელემენტით — წყალბადით, რომლის ატომური წონა უდრის ერთს, და მთავრდება ყველაზე მძიმე ელემენტით—ურანით, რომლის ატომწონა უდრის 238-ს. მათ შორის მოქცეულია ყველა დანარჩენი ელემენტი ატომური წონის ზრდის მიხედვით. კიდევ ერთი საგულისხმო თვისება აღმოაჩინა მენდელეევმა: ატომური წონების მიხედვით დალაგებული ელემენტები იშლება მსგავს ჯგუფებად, მონათესავე ნივთიერებათა ოჯახებად.

ყოველი შვიდი ელემენტის შემდეგ იწყება ძმური, რომელიც განსაკუთრებული მსგავსებით თანხმიდევრობით იმეორებს ზედა ძმური ელემენტთა თვისებებს.

რასაკვირველია, ელემენტების ასე დალაგება ოილი საქმე არ იყო. ჯერ ერთი, ბევრი ელემენტის ატომური წონა არ იყო სწორად განსაზღვრული, სამ ათეულამდე ელემენტის არსებობის შესახებ მაშინ ქიმიკოსებმა არაფერი იცოდნენ. საჭირო იყო მენდელეევის გენი, რომ ამ სიძნელეებს არ დაეჩრდილათ მიკვლეული კანონზომიერება. მენდელეევმა დაალაგა მაშინ ცნობილი ელემენტები და აწინასწარმეტყველა არსებობა აღმოუჩენ ელემენტისა, ასწერა მისი გარეგნობა, ქიმიური ნაერთები, რომლებსაც იგი შეჰქმნიდა სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედებით, გაქიანგარიშა მისი ატომური წონა. ამ ელემენტს მან ეკა-ბორი უწოდა. ასე აწინასწარმეტყველა მან ეკა-ალუმინი და ეკა-სილიციუმი. ეს იყო მეცნიერული წინასწარმეტყველება. ეს იყო გაბედული ნაბიჯი, რომელსაც მაშინ ბევრი მეცნიერი სკეპტიკურად შეხვდა.

როცა 1875 წლის აგვისტოში ფრანგმა მეცნიერმა ლეკოკ-დე ბუაბოდრანმა გალიუმის სახით მენდელეევის ეკა-ალუმინი აღმოაჩინა, ნილსონმა 1879 წელს აღმოაჩინა სკანდიუმი — მენდელეევის ეკა-ბორი, 1886 წელს კი ვინკლერმა გერმანიუმი—მენდელეევის ეკა-სილიციუმი, და როცა ყველა აღმოჩენილი ელემენტის კონსტანტები და თვისებები განსაკვირებლად თანხვდა ემას, რაც მათთვის იწინასწარმეტყველა მენდელეევმა, პერიოდულმა კანონმა და ელემენტთა ბუნებრივმა სისტემამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

შეიძლება ითქვას, რომ ქიმიაში დალტონის ატომისტური შეხედულებების დამკვიდრების შემდეგ მენდელეევის პერიოდული კანონი და მისი ელემენტთა პერიოდული სისტემა წარმოადგენენ იმ უდიდეს აღმოჩენას, რომელთა ნიშან ქვეშ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ქიმიის მთელი შემდგომი განვითარება.

მენდელეევის მიერ ჩამოყალიბებული პერიოდული კანონი გვეუბნება: „მარტივი სხეულების თვისებები, აგრეთვე ელემენტთა ნაერთების ფორმები და თვისებები პერიოდულ დამოკიდებულებაშია ელემენტთა ატომური წონების სიდიდესთან“.

მაგრამ უკანასკნელ ათეულ წლებში მთელი რიგი ახალი ელემენტებისა და ფაქტების აღმოჩენამ აიცილებინა და ფაქტების ერთიანი თეორიული საფუძვლების გადასნაგვა. აღმოჩენილ იქნა ინერტული გაზები, იზოტოპ მიწათა ელემენტები, ატომის რთული ანაგობის ფაქტი. გამოსარკვევი იყო თვით პერიოდულობის მიზეზი, გამოსარკვევი იყო, თუ რატომ შეიცავენ ცალკე პერიოდები ელემენტთა სხვადასხვა რიცხვს, რატომ ატომწონის მიხედვით არ არის მოთავსებული პერიოდულ სისტემაში ნიკელი და კობალტი, აგონი და კალიუმი, იოდი და ტელური, რატომ ერთ უჯრედში უნდა იყოს მოთავსებული ორი იზოტოპ მიწათა ჯგუფის 14 ელემენტი?

პასუხი ამ კითხვებზე მოგვცა მატერიის ანაგობის თეორიამ, რომელიც უკვე მენდელეევის სიკვდილის შემდეგ დამკვიდრდა.

მენდელეევის დროის განუყოფელმა ატომმა ადგილი დაუთმო რთული ანაგობის მქონე უარყოფითად და დადებითად დამუხტული წილაკებისაგან შედგენილ ატომს. დადებითად დამუხტული ატომგულის გარშემო, რომელიც თავის მხრივ რთულ სხეულს წარმოადგენს, მოძრაობენ უარყოფითად დამუხტული ელექტრონები.

ატომის შემადგენელი წილაკების რიცხვი თანმიმდევრობით იზრდება მარცხნიდან მარჯვნივ—წყალბადიდან ურანისაკენ და ატომის შემადგენელი უარყოფითი და დადებითი წილაკების რაოდენობის ეს თანდათანობითი ზრდა (ანაობის ტიპები) განსაზღვრავს ელემენტთა რიცხვს ცალკე პერიოდებში.

ატომგულის მუხტი თანხვდა ელემენტის რიგითს ნომერს პერიოდულ სისტემაში. წყალბადის ატომგულს ერთი დადებითი მუხტი აქვს, ამიტომ მისი რიგითი ნომერი უნდა იყოს 1. ურანს—92 მუხტი აქვს, მაშასადამე, მისი რიგითი ნომერი იქნება 92. ვინაიდან მეცნიერებმა ისწავლეს ატომგულის მუხტის ზუსტად გამოკვლევა, შესაძლებელი გახდა მენდელეევის პერიოდულ სისტემაში ელემენტთა ადგილმყოფელობის სწორის შემოწმება. აღმოჩნდა, რომ მენდელეევმა განსაცვიფრებელი სიზუსტით მოუნინა მათ ადგილი, თავისუფალი ადგილები კი უკანასკნელ ათეულ წლებში აღმოჩენილმა ელემენტებმა დიაგავეს.

შეიცვალა პერიოდული კანონის ფორმულირება. ახლა იგი ამბობს: ელემენტთა თვისებები რიგითი ნომრის (ესე იგი—ატომგულის მუხტის) პერიოდულ ფუნქციას წარმოადგენსო, მაგრამ პერიოდული სისტემა უცვლელი დარჩა.

„ვაჩნდება და მოკვდება ახალი თეორიები, ბრწყინვალე განზოგადებანი შესცვლიან ჩვენს ძველებულ წარმოდგენებს, უდიდესი აღმოჩენები გაიკარწყლებენ ძველს და გადაგვიშლიან სიახლისა და მასშტაბების მხრივ წარმოუდგენელ ჰორიზონტებს.—ყველაფერი ეს მოვა და წავა, მაგრამ მენდელეევის პერიოდული კანონი მარად იცოცხლებს, განვითარდება და გასრულყოფილდება“,—აკადემიკოს ფერსმანის ეს სიტყვები სავსებით მართებულია ახლაც, როცა პერიოდული კანონის აღმოჩენის 75 წლისთავს აღვნიშნავთ.

ე. წულაძე



თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ხედი.

მოქ. ვ. კუზნეცოვს შეეძინა ბავშვი. გახდა იგი წლისა, ორი წლისაც, მაგრამ პატარამ ფეხი ვერ აიდგა. ექიმებმა შეამოწმეს, რომ ბავშვს ჰქონდა ე. წ. სპაგშვო სიდამბლე, რაც ძვლების სუსტი განვითარებით აიხსნება. ექიმების რჩევით დედამ დაკუტეხული ბავშვი ბალნეოლოგიურ კურორტზე მიიყვანა. ახლაც ეს ბავშვი კურორტზე მკურნალობს. მან უკვე აიდგა ფეხი და დამოუკიდებლად დადის.

ბალნეოლოგიური კურორტის დირექციაში შენახული ავადმყოფთა მკურნალობის სქელტანიანი წიგნი-ისტორია სავსეა ასეთი მაგალითებით.

ავადმყოფთა მკურნალობა აქ მარტო ბალნეოლოგიური საშუალებებით როდი სწარმოებს. ყოველ ავადმყოფს აქ მკურნალობენ ე. წ. კომპლექსური მეთოდით: უნიშვავენ აბაზანებს, მკურნალობენ ელექტროსინთალით, ე. წ. ინგალაციით, მასაჟით, სამკურნალო ფიზკულტურული საშუალებებით და ყველაფერი ეს ერთად აღებული შესანიშნავ შედეგს იძლევა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მუშაკებმა ომიანობის დროის შესაფერისად გარდაქმნეს თავისი მუშაობა.

სამამულო ომის ფრონტებზე დაჭრილთა მკურნალობა აქ განსაკვიფრებელ შედეგს იძლევა: სათანადო ქირურგიული მკურნალობის შემდეგ აბაზანები აჩქარებენ ჭრილობების შეხორცებას, ანთებითი პროცესები და მასთან დაკავშირებული მწვავე ტკივილები მალე წყდება. ჭრილობაში ზოგჯერ ჩარჩენილი ძვლის ნამსხვრევები თავისთავად გამოდის გარეთ. პროფ. გ. მუხაძემ ამ ცოტა ხნის წინათ ბალნეოლოგიურ კურორტზე სამკურნალოდ გამოგზავნა კაპიტანი პ. კომისსარი, რომელსაც მარჯვენა ფეხის ტერფი ამდენად გაფუჭებული ჰქონდა, რომ გადაწყვეტილი იყო მისი მოკვეთა. მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ კაპიტანს ფეხი მოურჩა. იგი ახლა უჯოხოდაც დადის.

სამხედრო ექიმი რ. გ-ლი კონტუზიის შედეგად ნერვულად დაავადდა. აწუხებდა უძილობა, მეხსიერების დაქვეითება და საერთოდ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში იყო. ბალნეოლოგიურ კურორტზე კომპლექსური მკურნალობის შედეგად რ. გ-ლის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

სამამულო ომის ბევრი მეომარი — წითელარმიელები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები განკურნებულნი და გაჯანსაღებულნი უბრუნდებიან აქედან შობლიური წითელი არმიის რიგებს. კურორტზე გაშლილია დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დღითი დღე უმჯობესდება სხვადასხვა სხეულებათა მკურნალობის მეთოდიკა, არ სწყდება მუშაობა გოგირდის წყაროების ახალ სამკურნალო თვისებათა გამოსამეღავნებლად. დაღალავად მუშაობენ აქ სამამულო ომის ფრონტებიდან ჩამოსულთა გასაჯანსაღებლად მთავარი ექიმი ი. ბახუტაშვილი, ექიმები — ნ. ძაგანია, ლ. ლეკავა, ა. ბალუაშვილი, მ. თოფურიძე, გ. ნაცვლიშვილი და სხვ.

„სონთქაკი“ თბილისის მიწა. მის გულში ოგროვილი სითბო ულბილავი ძალებით მაღლა ამოდის, იქ სადღაც, ქვის ტრფილში ბოგირდისა ოლ სხვა მინერალების მაღლს ერთმანეთში ეზავებს და „ზოაქის მკურნავი, გაცხელებული წყაროები. რათა მათ ჩვენი მშრომელების სალდეგრძელოდ დღე-მარაოის ოდინონ.

დ. ლომთათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უ. შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მარცხნიდან მარჯვენივ: პეტრუჩიო (პ. ცობახიძე), კატარინა (ხ. თაყაიშვილი), ტრანიო (ვ. გოძიაშვილი), გრუმიო (კ. კვანტალიანი), ბაპტისტა (მ. სარაული), გრემიო (ალ. ფორფოლიანი)

„ჭირვეული ცოლის მორჯულება“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

შექსპირის რამდენიმე პიესა წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში. ამ მხრივ „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ შექსპირის ტექსტზე თეატრის პირველ მუშაობად ვერ ჩითვლება. მაგრამ ტრაგედიების თაობაზე „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ შემდეგ კომედიის გასაცენურება თეატრისაგან ახალ მიდგომას მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ წინათაც იყო თარგმნილი და წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

სამი ძირითადი თემა უდევს საფუძვლად შექსპირის ამ უკვდავ კომედიას: ინტროდუქციის თემა, ბიანკას საყვარლების მოხერხებანი და ჭირვეულის მორჯულება. ორი უკანასკნელი თვით პიესის ძირითად ტექსტს შეადგენს, ინტროდუქცია კი შეიძლება უმტკივნეულოდ ამოღებულ იქნას და ამით სპექტაკლი აბსოლუტურად არაფერს ჰკარგავს. წინათ უინტროდუქციოდ იდგმებოდა ეს ელვასკური კომედია ჩვენს სცენაზე და მარჯანიშვილის თეატრსაც სპექტაკლი ამ გზით განუხორციელებია. პიესის ინტრიგა ვითარდება ორი პარალელური ხაზის—პეტრუჩიო-კატარინას და ლუჩენციო-ბიანკას დაპირისპირების ფონზე. დამდგმელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტ შ. ლომბაშიძეს სწორად გაუხსნია კომედიის ძირითადი იდეა, ხასიათები და განწყობილებანი. შტამბერგის კოლორიტული მხატვრობა, ვეფხვისტყაოსნურ-უხუცესის კარგი მუსიკა და მაჭავარიანის ქორეოგრაფიული ხელოვნება სპექტაკლის ორგანულ მთლიანობას ჰქმნიან.

ცალკე უნდა აღინიშნოს თარგმანის უდავო ღირსება. შექსპირის ტექსტის ივანე მაჩაბლის უზაფო თარგმანების შემდეგ სიკო ფაშალიშვილის ეს სერიოზული ცდა წარმატებით დამთავრდა. მთელი სპექტაკლის მანძილზე გრძნობ, რომ აქტიორების მიმზიდველი მეტყველება თარგმანის მუსიკალობთაც არის შეპირობებული.

სარეცენზიო სპექტაკლმა კვლავ გამოაქიყოფა მარჯანიშვილის თეატრის შესაბიობების აქტიორული კულტურა. ეს პირველყოვლისა უნდა ითქვას ს. თაყაიშვილის კატარინაზე. მსახიობმა ისეთი ფერები გამოსძებნა კატარინას სულიერი სამყაროს გადმოსაშლელად, რომ ყველაზე ურთულესი სცენები (მორჯულების გრადაციები) მან გამარჯვების მასალაქვად გამოიყენა. თაყაიშვილის კატარინა მთლიანი სახეა. მაკი გარდაქმნა ისე ბრნყინვალედ და დამაჯერებლად ხდება, რომ ფანობს გულწრფელად უნდა შეიულოცოთ თავისი აქტიორული ოსტატობის ასეთი შესანიშნავი მიღწევა.

პეტრუჩიოს ახალგაზრდა, მდიდარი პეტერბურგი მატიკეტ ნებისყოფის, შეუპოვარი ადამიანია. მაგრამ გარდაცვალების შემდეგ პეტრუჩიო პადუაში მიდის. ჯაბარის გასაქარვებლად, თან ცდილობს მდიდარი საცოლე შეირთოს და შეჰქმნას „ბედნიერი ოჯახური კეთილდღეობა“. ამიტომ იგი მზად არის შეირთოს ფლორენციელის ცოლზიდაც კი უმახინჯესი, მოხუც პითია სიბილაზე უფრო ხნიერი, სოკრატეს ქანტიპაზედაც ეანჩხლესი. ოღონდ მდიდარი იყოს, და პეტრუჩიო უკან არ დაიხევს, თუ საცოლე „ცალკა, ეჯიანი, ადრიატიკის მოელვარე ზღვა“ ტალღებივით შეგრგენავი იქნება. ამიტომ იგი თანხმდება ცოლად შეირთოს ჭირვეული, ანჩხლი და ურჩი კატარინა, მიუხედავად გრემიოს უხეში პერიფრაზებისა. კობახიძის პეტრუჩიო ლოველასი არ არის. კატარინა მას ამ მხრივ არ ინტერესებს. ეს ქალი მას შეუყვარდა და ყველაფერი გააკეთა მისი მორჯულებისათვის. ამიტომ ფინალში პეტრუჩიოს გამარჯვება, როცა გამოირკვევა, რომ სათნო ბიანკა თვითონ ყოფილა ურჩი, ხოლო ჭირვეული კატარინა ნამდვილად სათნო და მორჩილი,— ეს ყველაზე ძვირფასი გრატიფიკაცია იყო კატარინას მხრივ პეტრუჩიოსათვის. გარდა მისისა მოქმედებია, როცა პეტრუჩიოს გრადაციები გადაკარბებული გვეჩვენა, კობახიძემ პეტრუჩიოს დასრულებული სახე შეჰქმნა.

უბაკლო იყო მიხეილ სარაულის ბაპტისტა. კარგია მ. მგელაძის ლუჩენციო და ა. გოძელაურის ჰორტენსიო. გრემიოს როლი ი. ყორეოლიანმა საინტერესოდ გასწია. მსახიობმა მისთვის ჩვეული ოსტატობით ჩაატარა უკანასკნელ მოქმედებაში გრემიოს დეკლამაციის სცენა. ვ. გოძიაშვილის ტრანიო მხიარული, მოხერხებული, სიცოცხლით სავსე, ერთგული მსახურის ტიპია, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ მსახიობს ადრე მიგ მიერვე ოსტატურად შესრულებული ფიგაროს მთელი რიგი ნიუანსები თითქმის მექანიკურად არ გადმოეტანა ამ როლის განსახიერებაში. სტოიციზმის უარყოფას ტრანიო უკავშირებს არისტოტელეს ეთიკისადმი ერთგულების რევიზიას და პირველივე რეპლიკით გვამცნობს, რომ პადუაში ლუჩენციოს ცოტა დრო დარჩება სწავლისათვის. ეს ერთგვარ წინაპირობას ჰქმნის, რათა გამართლებულ იქნას ლუჩენციოს გატაცება ბიანკას სილამაზით. ახალგაზრდა მსახიობმა თ. თეთრაიემ ბიანკას როლში ვვიჩვენა, რომ მისი სახეთ კარგი ძალა იზრდება. მან შესძლო მაყურებელის დაუეჭვებლად მიეყვანა ფინალამდე ბიანკას მოჩვენებითი სათნოება, რაც ასე საჭირო და აუცილებელია კვანძის ეფექტური გახსნისათვის.

ორგანიულად შეკრული სახეა ვ. კვანტალიანის გრუმიო. ამ როლში მსახიობმა კვლავ გამოაცალინა თავისი შესანიშნავი აქტიორული ნიჭი. მისი კომიკური შთაბეჭდილება მრავალმხრივი. და ელასტიური. მთელი როლი მსახიობს ისე მიჰყავს, რომ დაუბრკოლებლად ჰქმნის ახალ შტრიხებს, ახალ ნიუანსებს. რაც სახის მთლიანობას კი არ არღვევს, პირიქით, — ხელს უწყობს მის ლოკალიზებას. შეიძლებოდა გარეგნულად გრუმიო სხვა სახით წარმოგვედგინა, თუნდაც ჯილბერტის ილუსტრაციით, რომ ცნობილი პანსოს ანალოგია არ გამოსულიყო.

„ჭირვეული ცოლის მორჯულება“ მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია.

ბ. ბანანაური

სიმფონიური კონცერტი

ორშაბათს, 6 მარტს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგება სიმფონიური კონცერტი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავისადმი.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია და შესდგება საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებისაგან. პროგრამაშია: დ. არაყიშვილის თამარის კავატინა და ა. ბ. ულ არაბის არიოზო ოპერიდან „შოთა რუსთაველი“, შ. თაქთაქიშვილის საზეიმო უვერტიურა, ი. ტუსკიას ციცინათელას არია ოპერიდან „საშობლო“, ო. ბარამიშვილის რომანსი, შ. მშველიძის ავთანდილის არია ოპერიდან „შოთა რუსთაველი“ და ინტერმეცო „მზის ამოსვლა“, ა. მაჭავარიან